

## CONCEPT OF THE “NATIVE LAND”: HISTORICAL-CULTURAL MARKER OF TURKISH GEORGIANS

კონცეპტი „სამშობლო“ ისტორიულ–კულტურული მარკერი თურქეთელ ქართველებში

**Elisabed Bzhalava**

Doctor of Philology,  
Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, 1 Ilia Tchavtchavadze Avenue, 0179, Georgia,  
+995577947490, elisabed.bzhalava@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0003-0296-4324>

**Nino Okrostsvavidze**

Doctor of History, Tbilisi State University,  
Tbilisi, Kakutsa Cholokashvili Avenue 3/5, 0162, Georgia,  
+995 555 270 850, nino.okrostsvavidze@iliauni.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-7480-6777>

**Abstract.** In the linguistical literature, there is established view that the culture can be determined by the memory. People regard themselves as belonging to the culture, to which they are related by their origin, place of residence, upbringing, traditions and language. Concept that is the subject of linguoculturological studies, contains the lexemes, meanings of which result from national-lingual consciousness and they form the native speakers' worldview. The work provides discussion of the lexical units denoting the concept of “native land” in the language of Georgians forcedly displaced to Turkey in 80s of 19<sup>th</sup> century, by generalization of which, in some way, ethnocultural identification of Georgians from Turkey at emotional level is possible.

The work relies on the materials collected in the course of fieldworks in the villages of Inegol District, at different times, as well as the examples from the scientific literature and fiction.

The studies showed that the Turkish Georgians use only two lexemes of Arabian origin to denote the concept of “native land”: “Memleket” and “Vatan”, thus distinguishing the genetic / historical and the other / “acquired” native land.

They refer to their genetic/historical native land, Georgia using the lexeme “Memleket” and the other / “Acquired” native land – Turkey as “Vatan”.

In our opinion, choice of the mentioned lexemes is based, primarily, the human context and further – etymology of the word. Cause of this is the high degree of emotional perception of the words as such.

**Keywords:** Turkish Georgians, concept “native land”, muhajir, historical memory.

**Lexemes:** Memleket, Vatan.

**ელისაბედ ბჰალავა**

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 36, 0179, საქართველო, +995 577 947 490, elisabed.bzhalava@tsu.ge  
<https://orcid.org/0000-0003-0296-4324>

**ნინო ოქროსცვარიძე**

ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, 0162, საქართველო, +995 555 270 850, nino.okrostsvaridze@iliauni.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-7480-6777>

**აბსტრაქტი.** საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კულტურა შეიძლება განისაზღვროს მეხსიერებით. ადამიანები იმ კულტურას აკუთვნებენ თავს, რომელთანაც ისინი დაკავშირებული არიან წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, აღზრდით, ტრადიციით და ენით. კონცეპტი, რომელიც ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის საგანია მოიცავს ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც განპირობებულია ეროვნულ-ენობრივი ცნობიერებით და ახდენენ ენის მატარებლის სამყაროს სურათის ფორმირებას. ნაშრომში განხილულია მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოდან თურქეთში იძულებით გადასახლებული ქართველების მეტყველებაში კონცეპტ „სამშობლოს“ გამომხატველი ლექსიკური ერთეული, რომელთა განზოგადების საშუალებითაც, ერთგვარად შესაძლებელი ხდება თურქეთელი ქართველების ეთნო-კულტურული იდენტიფიცირება ემოციურ დონეზე.

ნაშრომში გამოყენებულია როგორც ჩვენ მიერ, სხვადასხვა დროს ქალაქ ინეგოლსა და მის გარშემო თურქეთელი ქართველებით დასახლებულ სოფლებში სავსე მივლინებების დროს შეგროვილი მასალა, ისე მაგალითები სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ თურქეთელი ქართველები კონცეპტ „სამშობლოს“ გამოსახატავად იყენებენ მხოლოდ ორ, არაბული წარმოშობის ლექსემას „Memleket“ (მემლეკეთ) და „Vatan“-ს (ვათან). რომლითაც განასხვავებენ გენეტეკურ/ისტორიულ და მეორე/„შემძენილ“ სამშობლოს.

გენეტეკურ/ისტორიულ სამშობლოს- საქართველოს მოიხსენიებენ ლექსემა Memleket“ (მემლეკეთით), ხოლო მეორე/„შემძენილ“ სამშობლოს - თურქეთს „Vatan“ (ვათანით). ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ლექსემების შერჩევას საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა ადამიანური კონტექსტი და შემდგომ სიტყვის ეტიმოლოგია. მიზეზი, თვით სიტყვების ემოციური აღქმის მაღალ ხარისხშია.

**საკვანძო სიტყვები:** თურქეთელი ქართველები, კონცეპტი „სამშობლო“, მუჰაჯირობა, ისტორიული მეხსიერება, ლექსემები: Memleket, Vatan.

**მეთოდები.** კვლევის მეთოდოლოგია გარკვეულწილად პლურალისტური და კომპლექსურია, რაც გულისხმობს ეთნოგრაფიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდებს, კერძოდ: ერთი მხრივ სავსე-ეთნოგრაფიულ მივლინებებს, ინფორმანტების ცოცხალი მეტყველების ჩაწერას, ინტერვიუებას და მეორე მხრივ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის, სინქრონული და დიაქრონული მეთოდების გამოყენებას.

**შედეგები.** მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს სამომავლო კულტუროლოგიურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევებს. შეიძლება გამოყენებული იქნას კონცეპტების სტრუქტურების კვლევაში და კონკრეტული დარგობრივი საგნების სწავლებაში.

**მსჯელობა.** ვიდრე უშუალოდ საკვლევ თემატიკაზე გადავალთ ვფიქრობ, საჭიროა ტერმინების „თურქეთელი ქართველი“ და ამავე კონტექსტში გამოყენებული „მუჰაჯირი“ განმარტება, რომელიც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დავის საგანია. ქართველი თურქოლოგების ნაწილი არ ეთანხმება და ქართული ენის გრამატიკის ნორმებისათვის მიუღებლად მიიჩნევს სიტყვა „თურქეთელის“ გამოყენებას, თუმცა სანაცვლოდ ჯერაც ვერ გვთავაზობენ სხვა ტერმინს.

საქმე იმაშია, რომ „თურქეთელი ქართველი,“ თანამედროვე თურქულ ენაში დამკვიდრებული და სახელმწიფო დონეზე გამოყენებული სიტყვათმეთანხმების „Türkiyeli Gürcü“-ს კალკია. პირველად აღნიშნული ტერმინი საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენა ცნობილმა თურქოლოგმა ლია ჩლაიძემ და როგორც უკვე აღვნიშნეთ მან ფაქტობრივად თურქულიდან თარგმნა ეს ლექსიკური ერთეული. მთავარი კი მაინც ისაა, რომ სწორედ ასე უწოდებენ და აღიქვამენ საკუთარ თავს მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში საქართველოდან თურქეთში „იძულებით“ გადასახლებული ქართველები. საყურადღებოა, რომ ტერმინი „თურქეთელი ქართველი – Türkiyeli Gürcü“ მოიაზრებს მხოლოდ აჭარის რეგიონიდან გადასახლებულ ქართველებს.

აქვე აუცილებელია გავიხსენოთ ისტორია თუ როგორ მოხვდნენ ქართველები თურქეთში და რას ნიშნავს „მუჰაჯირობა“

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს: 1. ემიგრანტს, გადახვეწილს; 2. მუსლიმს, რომელიც გადადის მექადან მედინაში. ეს უკანასკნელი ჩვენში მე-19 საუკუნეში ჩნდება. მუჰაჯირობა შეეხო ბუქედულებს, ყუბანისპირელ ნოღაელებს, ჩერქეზებს, უბიხებს, ჩეჩნებს, ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ოსებს, აფხაზებსა და სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს.

საქართველოში მუჰაჯირობის პირველი ტალღა დაიდრა სამცხე-ჯავახეთიდან, რაც მოჰყვა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს. მუჰაჯირობას საკმაოდ რთული ისტორია აქვს. იგი არა მხოლოდ ქართულ, არამედ ზოგადკავკასიურ ტრაგედიას წარმოადგენდა. რაც მთავარია მუჰაჯირობას ერთი კონკრეტული მიზეზი არ ჰქონია, იგი მიზეზთა მთელ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიც ერთნაირი დოზით შედიოდა რუსული იმპერიალისტური ზრახვები, თურქეთის აგენტურა, ხალხის გაუნათლებლობა, რელიგიური ფანატიზმი, რენეგატი ქართველები და მრავალი სხვა ფაქტორი.

თურქეთში ქართველების ემიგრაციის შედეგად, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბდა ქართველების სამი ფენა

1. საუკუნეების წინ სტამბოლის ბაზარზე ტყვედ გაყიდული ქართველები
2. ავტოქტონური ქართველები, რომლებიც ოსმალეთმა მიწებიანად მიიტაცა.
3. მუჰაჯირები, რომლებიც მე-19 საუკუნის 30-იანი და 70-იანი წლებიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წავიდნენ.

წინამდებარე კველა სწორედ ამ უკანასკნელს, მუჰაჯირ ქართველებს ეხება, კერძოდ, მათ მეტყველებაში კონცეპტ „სამშობლოს“ გამოხატვის ლექსიკურ ერთეულებს. თანამედროვე კვლევა მოითხოვს კომპლექსურად იქნას შესწავლილი ამა თუ იმ ხალხის ენა, კულტურა და მენტალობა. ენა, რომელიც ბაზისია ერის კულტურული მენტალობის ფორმულირებაში, კორელაციაშია კონცეპტთან. ხოლო ეროვნული კონცეპტი, რომელიც თავისთავად მარკირებულია ეთნოსპეციფიკით და გავლენას ახდენს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშანს ამა თუ იმ ეთნიკური სოციუმისა (Kucheryavykh, 2014: 113).

„კონცეპტის“, რომელიც მიიჩნევა ლინგვოკულტუროლოგიის ბაზისად და ვითარდება კოგნიტური ლინგვისტიკის საფუძველზე ერთიანი გაგება არ არსებობს. ერთიანი აზრი არ არის არც იმის შესახებ, თუ ენის კონკრეტულად რომელი ერთეულები უკავშირდება კონცეპტს, თუმცა კავშირის არსებობას კონცეპტსა და გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს შორის ყველა აღნიშნავს.

ლინგვისტიკაში კონცეპტს გააჩნია სამი ძირითადი მიდგომა: 1. ყველაზე ფართო მიდგომით, კონცეპტი მოიცავს ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც განპირობებულია ეროვნულ-ენობრივი ცნობიერებით და ახდენენ ენის მატარებლის სამყაროს სურათის ფორმირებას 2. უფრო ვიწრო გაგებით, კონცეპტთა რიცხვს განეკუთვნება სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთაც გააჩნიათ ლინგვოკულტურული მახასიათებლები და დამახასიათებელია განსაზღვრული ეთნო-კულტურის მატარებლებისთვის 3. კონცეპტების რიცხვს მიეკუთვნება მხოლოდ ის სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთა ჩამონათვალიც გარკვეულწილად შეზღუდულია (ბოლქვაძე 2017: 67).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მრავლი განმარტებიდან, ჩვენ ვიზიარებთ ბოლქვაძის მოსაზრებას, რომელიც თავის სადისერტაციო ნაშრომში კონცეპტს განმარტავს შემდეგნაირად „კონცეპტი (ანუ ცნება) წარმოადგენს ცოდნისა და მეხსიერების ერთეულს, მოიცავს წარმოსახვით და ღირებულებით განზომილებებს. კონცეპტი რთული მენტალური ნაერთია, რომელსაც აქვს თავისი ენობრივი ფიქსატორები. ის აერთიანებს საკუთარ თავში ინდივიდუალურ-პიროვნულს, კულტურულ-ჯგუფურს, ეროვნულსა და კაცობრიობის მნიშვნელობებს. კულტურული კონცეპტი წარმოადგენს კონკრეტული ერის სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სისტემების მენტალურ ერთეულს, მნიშვნელოვან ცნებას, რომელიც დაფიქსირებულია ამ ენაზე შექმნილ თეზაურუსში და აქტიურად გამოიყენება მოცემული კულტურის წარმომადგენლების მიერ. კონცეპტი ემოციურ ხასიათს ატარებს და მასში არის დაფიქსირებული არა მარტო ცნება მისი დამატებითი კონოტაციებით, არამედ მოცემული ერის წარმოდგენა/შეფასება. კონცეპტი ერის სულიერების სარკეა, რომელიც ზოგჯერ თაობიდან თაობას გადაეცემა და არ კარგავს ემოციურობისა და მგრძობელობის განცდას, ზოგჯერ კი მხოლოდ ათწლეულებს უძლებს და ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება,“ (ბოლქვაძე, 2017: 72).

#### კონცეპტ „სამშობლოს“ ენობრივი მარკერები თურქულში:

აღნიშნული კონცეპტი თურქულ ენაში სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით გამოიხატებოდა: uluş (ülke), yurt, toprak, mülk, memleket, memâlik-i mahrusa, memâlik-i şahane, babayurdu, anavatan და სხვა.

როგორც ვხედავთ, „სამშობლოს“ გამოხატვის ლექსიკური ერთეულები უხვადაა თურქულ ენაში და მრავალფეროვანია.

შემთხვევითი არ არის, რომ ზემოჩამოთვლილთაგან ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ „სამშობლოს“ გამოხატვის ორ ლექსემაზე: **Vatan (ვათან)** და **Memleket (მემლეკეთ)**. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურქეთელი ქართველები კონცეპტ „სამშობლოს“ ენობრივ მარკერებად სწორედ აღნიშნულ ლექსემებს იყენებენ, რაც შემთხვევითი არ არის. თუ დავაკვირდებით მათი ისტორიული განვითარების გზას შევნიშნავთ, რომ ვიწრო ცნება (განსახლების ადგილი, ტერიტორია) დროთა განმავლობაში გაფართოვდა და დღეს იგი უკვე გამოიყენება უფრო ფართე მნიშვნელობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონოსემიურიდან გადავიდა პოლისემიურში. ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვემოთ შევხებით, ახლა კი, მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნული ლექსემების განვითარების ისტორია:

Vatan არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს: დამკვიდრებას **سَطْن**-to settle down in; დაფუძნებას-reside in, განსახლებას-dwell in; ცხოვრებას-live in; დასახლება/ცხოვრებას-inhabit; სამშობლოს **سَطْن**-homeland; მამულს-fatherland; ქვეყანას-(home) country;

დედასამშობლოს-native country, native land; სახლსაცხოვრისს-home. (Baalbaki, 2010). თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში “Genel Türkçe Sözlük“ (TDK <https://sozluk.gov.tr/>) აღნიშნული ლექსემა განმარტებულია, მხოლოდ ერთი სიტყვაფორმით Yurt-ქვეყანა, მხარე. ისლამის ენციკლოპედიაში (VATAN-TDV İslâm Ansiklopedisi) განმარტებულია შემდეგნაირად: Bir kimsenin doğduğu ve yaşadığı, siyasal ve duygusal yönden bağlı olduğu toprak parçasını; ruhun özlemine duyduğu asıl ve gerçek âlemi ifade eden sosyoloji, siyaset ve tasavvuf terimi-ტერიტორია, მიწა რომელზეც დაიბადა და გაიზარდა ადამიანი, რომელთანაც აქვს ემოციური და პოლიტიკური კავშირი. ნამდვილი, ჭეშმარიტი სამყაროს გამომხატველი სოციოპოლიტიკური და რელიგიური ტერმინი.

სხვადასხვა ლექსიკონებში ვხვდებით შემდეგ განმარტებებს: ქალაქი, რაიონი, ოლქი, დაბადების ადგილი. უფრო რომ განვაზოგადოთ, ეს არის გარკვეულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, რომელზეც ცხოვრობს და ქმნის თავის კულტურას ხალხის ჯგუფი.

თუ კი თვალს მივადევნებთ ზემოაღნიშნული ლექსემის გამოყენების არეალს თურქულ ლიტერატურაში, შევნიშნავთ, რომ დივანის პერიოდის ლიტერატურაში „Vatan“ გამოიყენებოდა დაბადების ადგილის მნიშვნელობით. აი, უკვე თანზიმათის პერიოდიდან, საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავლენით, მან პოლიტიკური მნიშვნელობაც იტვირთა და როგორც ბერნარდ ლევისი აღნიშნავს ფრანგულმა „Patrie“ გავლენა იქონია „Vatan“-ზე. ამ პერიოდიდან „Vatan“-ი ნიშნავს არა, გარკვეულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, არამედ ერის ისტორიის, სულიერი და მატერიალური ღირებულებების ერთობას. (Büyükarman, 2008: 129).

საყურადღებოა, რომ ოსმალეთის იმპერიის დროს სიტყვა-Vatan მოკლებული იყო ყოველგვარ ეროვნულს და აღნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ დაბადებისა და გაზრდის ადგილს. ამ პერიოდში „Vatan“-ის ნაცვლად გამოიყენებოდა სიტყვები „Mülk“, (უძრავი ქონება, სამემკვიდრეო მამული), „Memleket“ (1. ქვეყანა, მხარე, 2. ქალაქი, რაიონი), Memâlik (სამეფო, ქვეყანა, სახელმწიფო, ტერიტორია) (Türkçe-Gürcüce Sözlük, 2001). ამ დროს ყველა დაპყრობილი ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის ქონებას წარმოადგენდა. სწორედ ამ მიზეზით დამკვიდრდა ტერმინი Memâlik-i İslam-ისლამური სახელმწიფო/ტერიტორია, რომელიც გამოიყენებოდა 19 საუკუნის მეორე ნახევრამდე. ეს ცნება „Vatan“-თან შედარებით უფრო მრავლისმომცველი იყო და გულისხმობდა სამხედრო/პოლიტიკურ სუვერენიტეტს (Büyükarman, 2008: 132).

თუ კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს მიმოვიხილავთ ერთობ საინტერესო სურათს წავაწყდებით. თურქული წერილობითი ძეგლების პირველ ნიმუშებში Tonyukuk Yazıtı, Köl Tigin Yazıtı, Divanü Lugati't-Türk, Altun Taruk ლექსემა „Yurt“: oturlan yer-საცხოვრებელი ადგილის, yerleşim birimi-დასახლებული პუნქტის, sığınılacak yer-თავშესაფარის მნიშვნელობით გამოიყენება. XIV საუკუნეში, ძველ ანატოლიურ თურქულში, იგი უკვე- oturlan yer-საცხოვრებელი ადგილის, mesken-საცხოვრისის, memleket-დაბადების ადგილის მნიშვნელობას იძენს (Akalın, 2018: 39).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქული მოდემის ტომები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, მათთვის „სამშობლოს“ წარმოადგენდა yurt-ი (იურთ) (საცხოვრებელი ადგილი). ოსმალეთის იმპერიის პერიოდში კონცეპტ „სამშობლოს“ მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა და გამოიხატა ლექსემა memleket-ით, რაც ნიშნავდა დაბადების ადგილს, ტერიტორიას. დღევანდელი მნიშვნელობა, კი ლექსემამ თურქეთის რესპუბლიკად ჩამოყალიბებასთან ერთად შეიძინა (Büyükarman, 2008:130).

„Memleket“ ასევე არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს: 1. Bir devletin egemenliği altında bulunan toprakların bütünü, ülke-სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ გაერთიანებული ტერიტორიები, ქვეყანა. 2. Bir kimsenin doğup büyüdüğü yer, şehir, yurt-დაბადების ადგილი, ქალაქი, ქვეყანა. ლექსიკონებში მოცემული განმარტებები,

ადამიანურ ურთიერთობათა კონტექსტში, შესაძლოა ორი მნიშვნელობით იქნეს გაგებული. ერთი მხრივ, როგორც ხალხის/ერის განსახლების ან/და განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაფუძნება/დამკვიდრების ადგილი, სამშობლო. მეორე მხრივ კი, როგორც ოჯახის კუთვნილი მიწა/ტერიტორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი დაკვირვებით და ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ეფუძნება ქალაქ ინეგოლსა და მის გარშემო თურქეთელი ქართველებით დასახლებულ სოფლებში სავსე მივლინებებს, თურქეთელი ქართველები კონცეპტ „სამშობლოს“ ენობრივ მარკერად იყენებენ მხოლოდ ამ ორი არაბული წარმოშობის ლექსემას: „Vatan“, „Memleket“.

საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ რამდენიმე მაგალითს, როგორც საკუთრივ ჩვენ მიერ ჩაწერილს, ისე სხვადასხვა წყაროებიდან:

„ეს ფევზიყა, მაგრამ სოფელში, **მემლექეთიდან**, ბათუმიდან მოტანილი ერთი მსხალი დარჩა, ბარაქაი მსხალი“ (ფევზიყე, ინეგოლი 2009)

„ჩვენი **მემლექეთიდან** გადმოსულები ქალაქში დარჩენილან, ინეგოლში უთხრობიათ ჩვენ აქ ვერ ვიცოცხლებთ ვერაო, ავადმყოფი ცხრო, ცხრო, ბუზები მერე უთხრეს ფადიშაჰს რომეო ჩვენ სოფელი გვინდა აქ ვერ ვიცოცხლებთ...“ (ოქროსცვარიძე, 2014: 55)

„დღეში რამითიგზობ **მემლექეთში** გადავალ, მევიარ იქაურობასა. ბევრჯელ სიზმარშიც ვნახულობ.....“ (ოქროსცვარიძე, 2014: 44)

„ზამთარში ბებრები და ხალხი ერთ სახლში რომ მოიკრიბებოდენ მოგროვდებოდენ სულ **მემლექეთზე** ლაპარაკებოდნენ, **მემლექეთი** ე.ი. სამშობლო.“ (ოქროსცვარიძე, 2014: 22)

„-იქ უნდა გევსულიყავი მე, იმთე მე იქ მანქანაზე ვიყავ, იქ გასაყიდად, ბილიორ მუსუნ? ესე ვიარე, **მემლექეთი** ვიარე, კაი **მემლექეთი** ყოფილა.“ (ოქროსცვარიძე, 2014: 203)

„თურქიე ჩვენი **ვათანია**, გურჯისტანი ჩვენი **მემლექეთი**. ჩვენ გურჯები ვართ, გურჯუჯე ჩვენი ანადილია....“ (ჩელები, 2018: 36).

„მე შუბნიდან ვარ ჩახალოღლიო, დედაშენი არი დღვანელიო. ეს, ნენეგ, იცოდე. გახედავ, ჩახუალ **მემლექეთში**, მეიკითხავ და ვინცხაი დაქვდებიანო“ (ფუტკარაძე, ბურსის ვილაეთი ინეგოლი, 1993: 23)

„**მემლექეთში** ბეგებმა ჩამოკიდება იცოდნენ თავაწევლ, იგით კაცებზე. ამფერი კაცები არ ებლაყვებოდნენ ბეგებსა და იმითვინ.“ (ფუტკარაძე, ბურსის ვილაეთი ინეგოლი, 1993: 41)

„ოთხმოცი წლის ვარ, ძლიან მიყუარან **მემლექეთური** ჩემი ნათესავები, ჩემი ბიძიშვილები; ძალიან მიყუარან ჩემი სიმსილა.“ (ფუტკარაძე, ბურსის ვილაეთი ინეგოლი, 1993: 55)

„**მემლექეთის** დანახვა ძალიან მინდა, ჰამა ჰალა მემესტრობა“ (ფუტკარაძე, ბურსის ვილაეთი ინეგოლი, 1993: 62)

„იმ წელწად თაზე ვიყავ, თიდან ჩამუელი, ოსმანამ ქალაქში შემხდა:-ოსმანავ, მემლეკეთში ერთი რატო არ წამიყუანე-მეთქი.“ (ფუტკარაძე, ბურსის ვილაეთი ინეგოლი, 1993: 24)

„ბათუმი და ქედა, რომ დიმირჩა დედა,  
წეველ, გავხდი ფირალი, დედა დავტე მტირალი,  
მემლეკეთის მტრედი, გოგოც დამრჩა ერთი...“ (ფუტკარაძე, 2017: 123)

„მითხარ, როგორაა მემლეკეთი, ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამთელო.  
მითხარ, როგორაა მემლეკეთი, მე სულ მისი ფიქრით დავდიოდი,  
ახლად დავიბადე, თბილისიდან ხმა რომ დავიჭირე რადიოთი...  
(ფრიდონ ხალვაშის პოეზია)

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსემა „სამშობლო“, რომელსაც არაერთი მკვლევარი (ნიკოლეიშვილი, 1999: 140; ლუტიძე, 2012: 35) იმოწმებს, როგორც ლექსემა „Memleket“-ის სინონიმს, რომელიც უცვლელი ფორმით გამოიყენება თურქეთელი ქართველების მეტყველებაში. თუმცა, ჩვენ მიერ შეგროვებულ მასალაში, არც ერთ რესპოდენტთან ეს ფაქტი არ დადასტურებულა.

**დასკვნა.** ვილჰელმ ჰუმბოლდტის განმარტებით ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა. ენა ყოველთვის ასახავს სოციალურ წინაპირობებს. ენა ეს არის ხალხი, ამიტომ ის დამოკიდებულია იმაზე თუ რა დღეშია ხალხი. სწორედ ამ პოსტულატზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქეთელი ქართველების ქართული - არის მათი სულის, წარსულისა და აწმყოს ანარეკლი. რაც კარგად ჩანს კონცეპტ „სამშობლოს“ თეორიულ მოდელში.

თურქულ ენაში სხვადასხვა პერიოდში კონცეპტ „სამშობლოს“ გამომხატველი ლექსემების სიუხვისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, თურქეთელი ქართველების მეტყველებაში გამოიყენება მხოლოდ ორი, არაბული წარმოშობის, ლექსემა Memleket (მემლეკეთ) და „Vatan“ (ვათან). ამათგან „Memleket“ (მემლეკეთ) „განარჩევნ ისტორიულ/გენეტიკურ სამშობლოს - (გურჯისტანს) საქართველოს, ხოლო „Vatan“-ით (ვათან) მოიხსენიებენ თურქეთს. რასაც მოწმობს მოყვანილი მაგალითიც: „მე გურჯი ვარ, მემლეკეთი გურჯისტანია, მაგრამ თურქეთის ვათანდამი (მოქალაქე) ვარ, შესაბამისად თურქეთი ვათანია, მემლეკეთი- საქართველოა (ლუტიძე, 2012: 35).

„Meydan Larousse“- ში (ენციკლოპედია) სიტყვა „Memleket“ (მემლეკეთ) ახსნილია როგორც :bir milletin, bir devletin toprakları, ülke, vatan, yurt - ხალხის, სახელმწიფო მიწა/ტერიტორია, ქვეყანა, სამშობლო, მამული.

ხოლო „Vatan“ (ვათან): İkinci vatan, sonradan yerleşilen yer - მეორე სამშობლო, შემდგომი განსახლების\დასახლების ადგილი ტერიტორია.

ვფიქრობთ, აშკარაა რომ აღნიშნულ ლექსემების შერჩევას საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა ადამიანური კონტექსტი და შემდგომ სიტყვის ეტიმოლოგია. მიზეზი, თვით სიტყვა „Memleket“ -ის (მემლეკეთის) ემოციური აღქმის მაღალ ხარისხშია საძიებელი, რაც განპირობებული უნდა იყოს სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის გაფართოება-განზოგადოების საფეხურის გავლით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- აფრიდონიძე, შ. (2009). სამშობლო და მამული (სინონიმების ლინგვისტური ანალიზი). *კადმოსი* (ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი). 1. გვ. 5-42.
- ბოლქვაძე, ხ. (2017). *კულტურული მეხსიერების სემიოტიკური მექანიზმი და კონცეპტის თარგმნის პრობლემა*. ბათუმი.
- ნიკოლეიშვილი, ე. (1999). გურული და აჭარული ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის. *ქართველური მემკვიდრეობა*. III. ეძღვნება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავს. ქუთაისი. გვ. 139-148.
- ოქროსცვარიძე, ნ. (2014). *ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონ სოფელ: ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე)*. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
- ფუტყარაძე, ნ. (2017). *ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხი)*. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ბათუმი.
- ფუტყარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. წიგნი პირველი. ბათუმი.
- ლუტიძე, ი. (2012). თურქეთის (ბურსა, ინეგოლი) მუჰაჯირი ქართველები (ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა). *ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება: კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა*. თბილისი.
- ჩელევი, ფ. (2018). *დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი*. თბილისი.
- Akalın, Ş.H. (2018). *Kelimelerin Köklerine Yolculuk*. Türkolojiya, Bakı, 36-42.
- Büyükarman, D. A. (2008). *Vatan Kavramının Türk Tiyatro Edebiyatındaki Seyri Üzerine Bir İnceleme*. A. Ü. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, Sayı 37, Erzurum <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/33226>
- TDV İslam Ansiklopedisi 2012, 42 cilt, sayfa 563-643 <https://islamansiklopedisi.org.tr/vatan>
- Ramzi Munir Baalbaki 2010 -Al-Madrid Al-Hadeeth; a Modern Dictionary English-Arabic
- TDK <https://sozluk.gov.tr/>
- Meydan Larousse (Büyük Lügat ve Ansiklopedi) p. 97p. 377
- Баранов, Х.К. (2019). *Арабско-русский словарь*. Москва.
- Кучерявых, В.С (2014). Ядерный уровень концепта “Родина” в испанском Языке”. *Вестн. Моск. гос. лингвист. ун-та*. вып. *Серия Языкознание и литературоведение*. 24 (710). Стр. 113-1246 Москва.

## REFERENCES:

- apridonidze, sh. (2009). samshoblo da mamuli (sinonimebis lingvist'uri analizi). [Samshoblo and Mamuli (Homeland) (Linguistic Analysis of Georgian Synonyms)]. *k'admosi (humanit'arul k'vlevata zhurnali) [Kadmos, a jurnal of the Humanities]*. 1. p. 5-42.
- bolkvadze, kh. (2017). *k'ult'uruli mekhsierebis semiot'ik'uri mekanizmi da k'ontsep't'is targmnis p'roblema. [Semiotic mechanism of cultural memory and the problem of concept translation]*. Batumi.
- nik'oleishvili, e. (1999). guruli da ach'aruli leksik'is urtiertmimartebisatvis.[mutual relations of Guruli and Adjarian vocabulary]. *kartveluri memk'vidreoba [Kartvelian Heritage]*. III. Dedicated to the 100th anniversary of Academician Arnold Chikobava. Kutaisi. p. 139-148.
- okrostsvardize, n. (2014). *ojakhi da saojakho qopa turketel kartvelebshi (inegolis raion sopel: hairies mosakhleobis magalitze) [Family and Family life of Turkish Georgians: The*



- Case of Hayriye Village population, Inegol Region, Turkey*]. Doctoral Dissertation. Iliia State University. Tbilisi.
- put'k'aradze, n. (2017). *kartveli muhajirebi turketis shavizghvisp'iretshi (etnoment'aluri mark'erebi da p'olit'ik'ur-k'ult'uruli mekhsierebis sak'itkhi)*. [Georgian Muhajers (migrants) in the Black Sea region of Turkey (ethnoment'al markers and the issue of political-cultural memory)] The doctoral dissertation submitted for gaining the academic degree in History at Batumi Shota Rustaveli State University. Batumi.
- put'k'aradze, sh. (1993). *chveneburebis kartuli* [The Georgian of "Chveneburebi"]. B. I. Batumi.
- ghut'idze, i. (2012). *turketis (bursa, inegoli) muhajiri kartvelebi (etno-lingvist'uri mimokhilva)* [The Forcely Migrated Georgians in Turkey (Bursa, Inegol) (Etno-linguistic review)]. *ivane javakhishvilis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi. sp'etsialuri gamoshveba: k'larjetisa didebulta udabnota* [The collection of works of the Institute of History of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Special edition: Deserts of the nobles of Klarjeti]. Tbilisi.
- chelebi, p. (2018). *duzjes mkhareshi (turketis resp'ublik'a) mtskhovrebi kartvelebis met'qvelebis taviseburebani* [Georgians living in Duzce region (Republic of Turkey). Peculiarities of speech]. Tbilisi.
- Akalın, Ş.H. (2018). *Kelimelerin Köklerine Yolculuk* [Excursus to the history of the origin of the Word: Yurt]. Türkologiya [Turkology], Bakı, 36-42
- Büyükarman, D. A. (2008). *Vatan Kavramının Türk Tiyatro Edebiyatındaki Seyri Üzerine Bir İnceleme* [A dissertation on the progress of the concept of Motherland in Dramatic Turkish literature]. A. Ü. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, Sayı 37, Erzurum <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/33226>
- TDV Islam Ansiklopedisi 2012, 42 cilt, sayfa 563-643 <https://islamansiklopedisi.org.tr/vatan>
- Ramzi Munir Baalbaki 2010 -Al-Madrid Al-Hadeeth; a Modern Dictionary English-Arabic TDK <https://sozluk.gov.tr/>
- Meydan Larousse (Büyük Lügat ve Ansiklopedi) p.97p. 377
- Baranov, X. K. (2019). *Arabsko-russkyj slovar'* [Arabic Russian dictionary]. Moscow.
- Kucherjavyh, V.S (2014). *Jadernyj uroven' koncepta "Rodina" v ispanskom Jazyke* [Nuclear level of the concept "Patria" in the spanish language]. *Vestn. Mosk. gos. lingvist. un-ta. Serija Jazykoznanie i literaturovedenie* [Messenger of the State Linguistic Institute of Moscow. Series Linguistics and Literary Studies]. 24 (710). p. 113-124. Moscow.